შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

№13 (9.529)

20 აპრილი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ჰერეთში... ორი საუკუნის შემდეგ

ძირძველ ქართველებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ეპისკოპოსმა მიულოცა

15 აპრილი ძირძველი ქართველებისთვის ისტორიულ თარიღად და უფლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან ერთად უდიდესი სიხარულის აღმნიშვნელ მოვლენად იქცა. ორი საუკუნის შემდეგ ისტორიულ ჰერეთში სააღდგომო წირვა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკმა ჩაატარა. სააღდგომო ლიტურგიას მთელი ჰერეთის მართლმადიდებლობა დაესწრო. თითქმის ყველა სოფლიდან მოვიდა მრევლი კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, სადაც ასეთივე ხალხმრავლობა შეინიშნება ყოველ წელს, გიორგობის დღესასწაულზე.

მეუფე მელქისედეკი:

—„1811 წელს რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. საქართველოში სულ ხუთი მღვდელმთავარი დარჩა და, ბუნებრივია, საინგილოში წირვას ვერავინ აღასრულებდა. 2 საუკუნე გავიდა, რაც ჰერეთში სააღდგომო წირვა არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, აქ მუსლიმური სამყაროა, მთელ ღამეს ისმოდა ქრისტიანული ზარების რეკვა და მიმდინარეობდა ლიტანიობა“.

ამჟამად ისტორიულ ჰერეთში ორი მოქმედი ტაძარია — კახის წმ. გიორგისა და წმ. ნინოს სახელობის. მეუფე მელქისედეკის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში, ჰერეთის უკიდურეს აღმოსავლეთში, სოფელ ქოთოქლოში ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის მშენებლობა იგეგმება. მესამე მოქმედი ეკლესია დადებით როლს ითამაშებს და ხელს შეუწყობს საზღვრის იქით დარჩენილ ჩვენს თანამემამულეებს, შეინარჩუნონ და განამტკიცონ საუკუნეების მანძილზე შემონახული სარწმუნოება და ქართული ტრადიციები.

ინგა შიოლაშვილი

2012 წელს დაგეგმილი სამუშაოები სოფელ არბოშიკსა და ოზაანში

მიმდინარე წელს სოფელ არბოშიკისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 203 100 ლარია გამოყოფილი. აღნიშნული თანხით დაგეგმილია სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მესერის, მგზავრთა მოსაცდელის, საბავშვო ბაღის ამორტიზირებული მესერის, სამუსიკო სკოლის სახურავის და ჟოლობების რეაბილიტაცია; გარე განათების და სოფლის ერთ უბანში წყაროს წყლის ქსელის მოწყობა, ასევე, შიდა ასფალტისსაფარიანი გზების სრული რეაბილიტაცია.

სოფლის დახმარების პროგრამით ამ სოფელში 2012 წელს 44 193 ლარი დაიხარჯება, მოხდება შიდა საუბნო გზების, სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე არსებული სანიაღვრე არხის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია; თუჯის ცხაურებით მოეწყობა გზაზე არსებული წყალშემკრები არხები.

სოფელ ოზაანში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 79 000 ლარი დაიხარჯება. სოფლის საჯარო სკოლაში 4 წერტილზე მოეწყობა საპირფარეშო, მოხდება შიდა გრუნტოვანი გზების და გედიქის წყალსაქაჩიდან სოფელში მიმავალი სადაწნევო მილის რეაბილიტაცია.

სოფლის დახმარების პროგრამით კი 27 631 ლარი დაიხარჯება წყალმომარაგების სისტემაზე: მოხდება სოფლის წყსლსაქაჩიდან ცენტრალური სასმელი წყლის რეზერვუარამდე მიმავალი რკინის სადაწნევო მილის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია და სოფლის ერთ უბანში შიდა ქსელის მოწყობა.

სასჯელი ერთჯერადი შრომისთვის

(ბევრმა არ იცის, დეკლარაციაში აგენტს რა უნდა ჩააწერინოს)

58 წლის ლამარა მაღალაშვილი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. მისი სახლის ფანჯრებს მინების ნაცვლად ალუმინის ფირფიტები აქვს აკრული. ბრონქიალური ასთმით დაავადებულს ხშირად წამლების შესაძენი თანხაც არ გააჩნია. სამი შვილის დედაზე ეკონომიური სიდუხჭირის გამო შვილებიც ვერ ზრუნავენ. ის ვერც სოციალურ დახმარებას იღებს და მეზობლებისა და ღვთის ანაბარა მიტოვებული ხელისუფლებისგან ელის შველას.

ერთი შეხედვით გამხდარი ქალი. მის სახეზე მძიმე ცხოვრების კვალი იკვეთება. ასეთივე დაღლილი გამომეტყველებით შემოდის რედაქციაში და თვალებით შველას ითხოვს.

-რა გაგჭირვებიათ?-ვეკითხები. კითხვის დასრულებას არ მაცლის, ისე იწყებს თავისი ისტორიის მოყოლას:“ **წლების წინ თბილისში ვცხოვრობდი და ფეხსაცმლის ფაბრიკაში ვმუშაობდი. მერე ცხოვრება რომ აირია, ზემო ქედში ჩამოვედით საცხოვრებლად. მეუღლე ათი წლის წინ გარდამეცვალა და უკვე 8 წელია, მარტო ვცხოვრობ. სამი შვილი მყავს, მაგრამ არც მათ აქვთ დალხენილი ცხოვრება. ამ მიზეზით ვერ მეხმარებიან. ვაჟი, რომელიც წალენჯიხაში ცხოვრობს, მრავალშვილიანი მამაა და ძალიან უჭირს ეკონომიურად. ნეტავი, ჩემი სახლი განახათ, რა პირობებში ვცხოვრობ- ფანჯრებზე მინების ნაცვლად ალუმინის ფირფიტებია აკრული, სახლი გასალესია, იატაკი-ჩავარდნილი. ამ ზაფხულს სამი მცურავიც შემოვიდა. ყველა მეუბნება, ამ სახლში როგორ ცხოვრობო? მაშ რა ვქნა, სად წავიდე? თევზის კონსერვებს ვაგროვებ და ვაბარებ, დენის ფული რომ გადავიხადო. შიმშილით რომ არ მოვკვდე, პურს მეზობლები მაწვდიან“**-ამბობს ლამარა მაღალაშვილი და დასძენს,

(გაგრძელება 6-ე გვ.)

ლევან ბაღაშვილი: სოფელ ფიროსმანში საბავშვო ბაღი შემოდგომაზე გაიხსნება

გვ. 4

"ძალიან გამოცოცხლდა სოფელი"...

გვ. 3

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

რეგიონებში ევროპული სტანდარტების სანიტარული წერტილები აშენდება

ყვარელში რეგიონული განვითარებისა და ინფრისტრუქტურის მინისტრმა, რამაზ ნიკოლეიშვილმა და კახეთის გუბერნატორმა, გიორგი ღვინიაშვილმა საზოგადოებრივი სანიტარული წერტილების მშენებლობა დაათვალიერეს.

სამშენებლო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ, მინისტრი ადგილობრივ შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.

როგორც ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, საქართველოს ყველა რეგიონში ევროპული სტანდარტების 50-მდე სანიტარული წერტილი აშენდება.

„საზოგადოებრივი სანიტარული წერტილების არარსებობა ანტისანიტარიას იწვევდა და დისკომფორტს უქმნიდა, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე - ტურისტებს. ახალი შენობები არქიტექტორებმა დაპროექტეს და ადგილმდებარეობის შესაბამისი დიზაინი ექნებათ," - აღნიშნა მინისტრმა.

ამ ეტაპზე ყვარელში საზოგადოებრივი ტუალეტების მშენებლობა მარჯანიშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე მიმდინარეობს. პროექტს საქართველოს მთავრობა აფინანსებს; სამუშაოებს კი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აწარმოებს.

პროექტზე, რომელიც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება სულ 250- მდე ადამიანი დასაქმდება.

სამშენებლო სამუშაოების მონახულების შემდეგ, მინისტრი ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა და მათი პრობლემების შესახებ მოისმინა.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის არეალი გაფართოვდა

საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის არეალი გაფართოვდა.

თუკი აქამდე ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს მხოლოდ გარიგებისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე გასცემდა, ამიერიდან, ქირავნობის, სესხის, ვალისა და ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე გასცემს.

ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარის, ბაჩანა შენგელიას განცხადებით, აღნიშნული სიახლე დაზარალებულ მხარეს თავიდან ააცილებს სასამართლო დავასა და დამატებით ხარჯს და საშუალებას მისცემს, გარიგების გაფორმებისას უფრო დაცულად იგრძნოს თავი.

„ანუ ნოტარიუსთან ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმებისას თუკი მხარეები ხელშეკრულებაში თავიდანვე ჩადებენ სააღსრულებო ფურცლის გაცემის პირობას, შემდგომში დავის წარმოშობის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს აღარ მოუწევს სასამართლოსთვის მიმართვა, სააღსრულებო ფურცელს გამარტივებული ფორმით, პირდაპირ ნოტარიუსისგან მიიღებს", - განმარტა შენგელიამ.

როგორც ნოტარიუსთა პალატაში აღნიშნავენ, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის პრაქტიკა ევროპის ლათინური ნოტარიატის წევრ ქვეყნებში დიდი ხანია არსებობს. საქართველოში ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცელი, გირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე, 2010 წლიდან გაიცემა. აღნიშნული სერვისით მოქალაქეთა დაინტერესებამ განაპირობა საკანონმდებლო ცვლილებები, რის საფუძველზეც, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცელი უკვე ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა. მოქალაქეთა დაინტერესებაზე მზარდი სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. 2010 წელს - 429, 2011 წელს - 1 276, წელს - 534 სააღსრულებო ფურცელი.

წინანდლის რეზიდენციას რეკონსტრუქცია ჩაუტარდება

თბილისისა და ბათუმის შემდეგ, სასტუმრო "რედისონი" კახეთში აშენდება. წინანდალში, ჭავჭავაძეების მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოები 20 აპრილიდან დაიწყება.

ოთხსართულიანი, 100 ნომერზე გათვლილი სასტუმრო თანამედროვე სტანდარტების არქიტექტურული ნაგებობა იქნება.

კომპლექსი 20 მილიონამდე ამერიკული დოლარის ინვესტიციით აშენდება. სამშენებლო სამუშაოებს ცნობილი ამერიკელი არქიტექტორი ჯონ ფოტიადისი აწარმოებს.

ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციის უფლება ნოტარიუსებსაც მიენიჭათ

ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობების გაცემის უფლება, სამოქალაქო რეესტრის პარალელურად, ნოტარიუსებსაც მიენიჭათ.

სამოქალაქო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა შესაბამის ბაზებთან წვდომის უზრუნველსაყოფად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს: საქართველოს ნოტარიუსთა პალატასა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

„ნოტარიუსთან ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაცია ევროპის ქვეყნებაში (ბელგია, საფრანგეთი...) დანერგილი პრაქტიკაა. წყვილებს საქართველოშიც არჩევანის მეტი საშუალება მიეცემათ, სამოქალაქო რეესტრის საგენტოს გარდა, შეეძლებათ, საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ნოტარიუსთან დაარეგისტრიროს ქორწინება ან განქორწინება და მიიღონ შესაბამისი მოწმობა. ასევე, წყვილებს შესაძლებლობა ექნებათ, ქორწინების რეგისტრაციისას მიიღონ სარიტუალო მომსახურებაც როგორც სანოტარო ბიუროში, ასევე, სანოტარო ბიუროს გარეთ. ამასთან, წყვილი, ვინც ნოტარიუსთან ქორწინების ხელშეკრულებას გაფორმებს, აღარ მოუწევს სამოქალაქო რეესტრში წასვლა, ნოტარიუსთანვე მიიღებს ქორწინების მოწმობას", - განაცხადეს ქამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

ლაგოდეხში ხატიდან ჩამონადენს ექსპერტიზა უტარდება

საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ მსხალგორში მდებარე ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატიდან ჩამონადენი ნივთიერების სინჯები აიღეს. სპეციალისტებმა უნდა გაარკვიონ, ხატს ნამდვილად სისხლი სდის თუ არა.

როგორც ნეკრესის მიტროპოლიტმა სერგიმ კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, ლაბორატორიული ანალიზის პასუხი 3-4 დღეში გახდება ცნობილი.

მეუფეს განცხადებით, იმის თქმის საფუძველს, რომ ხატიდან ჩამონადენი ნივთიერება

სისხლია, ჯერჯერობით მხოლოდ მისი შეფერილობა იძლევა.

„ჯერ არ ვიცით რა არის ის ნივთიერება, რომელიც ხატიდან მოდის. მხოლოდ ის ვიცით, რომ საღებავი არ არის. ეს ნივთიერება მუქია, სისხლისფერი და სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ სისხლია, ზუსტ პასუხს ლაბორატორიული ანალიზი დაადგენს," - აღნიშნა მეუფე სერგიმ.

მისივე თქმით, იმაზე საუბარი, რის მომასწავებელი შეიძლება იყოს ხატიდან სისხლის წამოსვლა, შეუძლებელია.

„საერთოდ ასეთი ფაქტი ბევრი არ ყოფილა, ამდენად დიდი პრაქტიკაც არ არსებობს და ძნელია იმაზე ლაპარაკი, რას შეიძლება ნიშნავდეს. ალბათ იმის ნიშანია, რომ თუ ხალხი მოექცევა არაფერიც არ იქნება და თუ არ მოექცევა დაისჯება, მაგრამ შეიძლება კარგის ნიშანიც იყოს. იმის თქმა, რომ ხატს სისხლი წამოუვიდა და ახლა ომი დაიწყება, ასეთი რამ არ არსებობს. ყველამ ლოცვა უნდა გავაძლიეროთ, დანარჩენი უფლის ნებაა," - განუცხადა მეუფე სერგიმ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

შეგახსენებთ, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ მსხალგორში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ახლადაშენებულ ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატს სისხლისფერი სითხე 9 აპრილიდან სდის. მსხალგორის მაცხოვრებლების თქმით, ხატიდან ჩამონადენი მაშინ შენიშნეს, როცა ის ხელნაწერი ხატით უნდა ჩაენაცვლებინათ. სასულიერო პირები მომხდარს სასწაულს უწოდებენ.

შემოწირულობა - სკოლებს

დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა „ალუმნაი"-ს პროგრამას აგრძელებს. პროგრამა საშუალებას აძლევს ყველა მსურველს გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სკოლის მიმართ და წვლილი შეიტანოს მის განვითარებასა და წარმატებაში.

დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში კლუბი „ალუმნაი" 2010 წელს ჩამოყალიბდა. მაშინ სკოლის კურსდამთავრებულებმა სკოლას 3 100 ლარი შესწირეს.

„ჩვენი სკოლის ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული თავიდანვე გამოეხმაურა ამ ინიციატივას და გახდა „ალუმინაის" კლუბის წევრი. კლუბი აერთიანებს ყველა იმ კურსდამთავრებულს, ვინც გამოთქვა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი სახით სკოლისთვის დახმარების გაწევის სურვილი. კლუბი თავდაპირველად 100-მდე ნევრს აერთიანებდა. წელს შეიძლება ეს რაოდენობა გაიზარდოს. კლუბის დაარსების დროს, 2010 წელს შემოდგომაზე შეხვედრა მოვაწყეთ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებთან. ასევე, 2011 წელს გვქონდა საიუბილეო საღამო, სადაც მოწვეულნი იყვნენ კლუბის წევრებიც. გასულ წელს სკოლის წარმატებულმა აკურსდამთავრებულმა გივი ნატროშვილმა შემოსწირა მშობლიურ სკოლას 8 000 ლარის ღირებულების ძვირადღირებული საკონცერტო აპარატურა სააქტო დარბაზისთვის. გივი ნატროშვილი წარმატებული ექიმი და ბიზნესმენია. ის თავისი დიდი ოჯახით ცხოვრობს და მოღვაწეობს რუსეთში, ქალაქ კისლოვოდსკში. მის საპატივსაცემოდ სკოლის ყოველი ღონისძიება მოიცავს სამადლობელოს გივი ნატროშვილის მიმართ. მოსწავლეებმა გაზაფხულის მილოცვის მიზნით მას ნახატების გამოფენა მიუძღვნეს. ყველაზე მეტი თანხა იმ დროისთვის შემოგვწირეს ავთანდილ ლეკაშვილმა (200 ლარი), სოლომონ მენთეშაშვილმა (150 ლარი), ლევან ბაღაშვილმა (150 ლარი). დანარჩენებმა შედარებით ნაკლები," — განუცხადა „შირაქმა" №1 სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა.

კლუბში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ის ცნობილი სახეებიც არიან გაწევრიანებულნი, რომელთაც სწორედ ეს სკოლა დაამთავრეს. ლევან ბაღაშვილი, ალექსანდრე ალულიშვილი, ზაზა ფიროსმანიშვილი, მარინა მეხრიშვილი და სხვები.

როგორც „შირაქმა" გაარკვია, პროგრამის ფარგლებში მაისში №1 სკოლა კვლავ შეეგებება თავის კურსდამთავრებულებს ღონისძიებით „ყვავილების ფესტივალი". მაია ლაპიაშვილის განმარტებით, ღონისძიების ტარიღი ამ ეტაპზე უცნობია.

„გვინდა მივმართოთ სკოლის კურსდამთავრებულებს: თუ გაქვთ სურვილი და შესაძლებლობა, რომ მატერიალურად დაეხმაროთ თქვენს სკოლას, გადარიცხეთ თქვენთვის სასურველი თანხა ჩვენი სკოლის „ალუმნაი"-ს ანგარიშზე ან ჩაერთეთ „ალუმნაი"-ს კლუბის საქმიანობაში" — ნათქვამია პირველი სკოლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ალუმნაის" პროგრამის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში განათლების რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში დაიწყო. ეს პროგრამა წარმატებულად ხორციელდება როგორც დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ალუმნაის" პროგრამა მიზნად ისახავს საზოგადოების აქტიურ ჩართვას სკოლის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხის მოგვარებაში.

ილია მარტყოფლიშვილი

"ძალიან გამოცოცხლდა სოფელი"...

ოზაანი კამბეჩოვანის ერთ-ერთი ისტორიული სოფელია, მდიდარია თავისი ისტორიული ძეგლებით, წყლებით და ლამაზი ადგილებით. 90-იან წლებში, ეს სოფელიც, სხვების მსგავსად გაჩანაგდა, ნანგრევებად იქცა. მოსახლეობის დიდ ნაწილს არსებულ რეალობასთან შეგუება გაუჭირდა, გაჭირვება და უმუშევრობა ვერ დაძლიეს და ქალაქში მიგრაცია აქაც ვერაფრით შეჩერდა. 2003 წლიდან იმედგაცრუებულ მოსახლეობას პერსპექტივა გაუჩნდა, საპენსიო ანაზღაურების თანხა საგრძნობლად გაიზარდა, სოფლში ახალი პროექტები შემოვიდა, რამაც ადგილობრივებს რწმენა გაუჩინა, რომ მალე მათი ყოფითი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვლებოდა. არსებობდა ეჭვიც, რეალური იყო თუ არა გაჩენილი ,,სინათლის სხივი". და აი, პირველი, რაც გაკეთდა, სოფელ ოზაანის ცენტრში თითქმის ძველისძველი სამედიცინო ცენტრის აღდგენა — რეაბილიტაცია დაიწყო, რამაც ხალხი ერთსულოვნად აღაფრთოვანა და ეჭვებიც იქვე გაიფანტა. მალე, ყველაფერი მართლა უკეთესისკენ შეიცვალა, არც ის ეგონა ვინმეს, რომ 15-20 წლიანი უწყლოობის შემდეგ, ოდესმე მაინც ეღირსებოდათ წყალი ოზაანელებს, თანაც საკუთარ სახლებში, მაგრამ, დღეს ეს უკვე რეალობაა, აქაურმა ხალხმა საუბნო ონკანებიდან წყლის ზიდვისგან დაისვენა. არც ის სჯეროდათ, ოდესმე თუ სოფლის ცენტრში ნანგრევებით დაბინძურებულ ტერიტორიას გაწმენდნენ, უფრო მეტიც, იქ, ულამაზეს და საკმაოდ დიდი დატვირთვის მქონე მშვენიერ მინი-სტადიონს ააშენებდნენ, აღარც ჩაბნელებული ქუჩების განათების ილუზია ჰქონდა სოფელს, მაგრამ დღეს ღამის ოზაანი ლამაზადაა განათებული. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ამ ეტაპისთვის მაქსიმუმი გაკეთდა, გამჭვირვალედ და ხალხის საქმეში ჩართულობით, ამას თვით აქაური მაცხოვრებლები ყველაზე კარგად ხედავენ და აფასებენ.

სოფლის ისტორია

ოზაანი რომ მართლაც ისტორიული სოფელია, ამას მისი ისტორიული ძეგლებიც მეტყველებენ. იგი ამაყია მე-10-11საუკუნის ამაღლების, მე-4-6 საუკუნის სამების, ორი ძველისძველი ყველაწმინდის, სტეფანწმინდის ძეგლებით, უსენათით და ზღმურდლის ახლა სალოცავებით. წლების მანძილზე მონღოლთა ურდოების შემოსევებმა, ცოტა უფრო მოგვიანებით კი, შაჰ- აბასის შემოსევებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა კამბეჩოვნების ძირძველი სოფლების ოზაანის, მირზაანის და მაჩხაანის მოსახლეობას, რის გამოც ისინი ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს და მომთაბარეობდნენ.

სოფლის ამჟამინდელი თავკაცის სოსო თევზაძის ინფორმაციით, ოზაანელებს ახლანდელი ხორნაბუჯის მიდამოებში ე. წ. ,,ყოლოთოს" ხეობის ტერიტორიებში უცხოვრიათ. მოგვიანებით, სოფელ თუქურმიშას, ახლანდელი ხორნაბუჯის მიდამოებში გადმოსახლებულან, შენდეგ ოზაანელები გედიქის ხეობის თავზე ახლანდელი ,,ნაქოხრების" ტერიტორიაზე დასახლებულან, აქედან, თურმე კარგად იზვერებოდა ლეკების შემოსევა სოფელში და ხალხი დროულად შველიდა თავს. ხანგრძლივი შემოსევების შედეგად ოზაანელებმა ზემოთ, სამების და ამაღლების ტყეებში შეაფარეს თავი, "—აცხადებს სოსო თევზაძე.

ამჟამად სოფელი 1050 მოსახლეს ითვლის. აქ ძირითადად ოზაშვილების, მეხრიშვილების, გიგოლაშვილების, ჯორკოშვილების, ქურხულიშვილების, გარსენიშვილების, თევზაძეების, ბოსტოღანაშვილების გვარებია გავრცელებული. სოფელში არსებობს ცალკეული საგვარეულოების ზედაშეები, რომლებიც სისხლით ნათესავი ერთი დაჯგუფების ან გვარის ხალხის სალოცავ ადგილს წარმოადგენდა.

სოფლის ცალკეულ ადგილები ისტორიული დანიშნულებისაა. ამ ადგილებს სახელები თავად ხალხმა შეარქვა. მოიხსენიებენ შემდეგ ადგილებს: ბაგისბოლოს, ბჟანტისხევს, ოქრაანს, წიკლოს ხევს, ბრიმახევს, გედიქისხევს, გრძელწარაფს, მუხათხევს, ჩრდილებს, პანტისხევს, ქვაბთხევს, ლეგაანს, ნაქოხრებს. სოფელი მდიდარია წყლებითაც, აქ ვხვდებით ლუგელას ანუ ნიკალას წყალს, ქურხულიანთ წყაროებს, გედიქის წყალს და ობელისკის წყაროს.

სოფლის კოლორიტი

სამწუხაროდ სოფლის უხუცესი ადამიანის, ანდა კოლორიტის მოძებნა გაგვიჭირდა. თუმცა, არ შეიძლება ოზაანზე ვისაუბროთ და არ ვახსენოთ ჯემალ მეხრიშვილი. ამაზე დიდი ადამიანი სოფელს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ ჰყავს. ჯემალ მეხრიშვილი 15 -მდე წიგნის ავტორია, დაწერილი აქვს, როგორც რომანები და მოთხრობები, რომელიც ჩვენს კუთხეს, მის ტრადიციებს და აქ მაცხოვრებელ ხალხს ეძღვნება, ასევე არის კრიტიკული ლიტერატურის წარმომადგენელი.მის ნაწარმოებში მარგალიტებადაა გაბნეული ჩვენი კუთხის, ქიზიყის, ნამდვილი, ძირძველი ქართული სიტყვები და კილო-კავები. ისე, რომ მხოლოდ მისი შემოქმედებიდან ერთი დიდი ლექსიკონი შედგებოდა, სადაც ქიზიყური სიტყვები და გამონათქვამები იქნებოდა გაერთიანებული. არ გამოუცია ჯემალ მეხრიშვილს არც ერთი წიგნი, რომ მას მშობლიური სკოლის ბიბლიოთეკისთვის არ ეჩუქებინოს. ნებმიერ სოფლის მაცხოვრებელს, ვისაც ხელი არ მიუწვდება მის შემოქმედებაზე, შეუძლია, მის ნაწარმოებებს ამ ბიბლიოთეკიდან გაეცნოს. წელს ჯემალ მეხრიშვილი იუბილარია.

სოფელი დღეს

ოზაანის საკრებულოში სოფლის დეპუტატი ტრისტან ქურხულიშვილი, გამგებლის რწმუნებული სოფელ ოზაანში სოსო თევზაძე, მოადგილე გიორგი მეხრიშვილი და ასისტენტი მარიკა ცქიტიშვილი სამუშაო პროცესში დაგვხვდნენ . როგორც გავარკვიეთ, კვირაში ორჯერ ბატონ ტრისტანს ხალხთან მიღება აქვს და მათ პრობლემებს ისმენს. არიან სოციალურად გაჭირვებულებიც, ზოგს ქირურგიული ოპერაციისთვის ფინანსები ესაჭიროება, ბევრი ისეთ რამესაც ითხოვს, რომლის გადაჭრაც შესაძლებლობების ფარგლებს სცილდება. დეპუტატი შესაძლოა ყველა მათგანს ვერ დაეხმაროს, მაგრამ დააკვალიანებს და მიმართულებას მისცემს, თუ საჭიროა, რაიონის ხელმძღვანელობასთან უშუამდგომლებს კიდეც. ასეთია მისი სამუშაო პროცესი.

—,,ბოლო დროს სკოლის პედკოლექტივმა მომმართა, სკოლას საჭირო ოთახის პრობლემა აქვს და ვცდილობთ მოვაგვაროთ, გასულ წელს კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად საკრებულოს შენობაში ორი ოთახი გავაერთიანეთ , კოსმეტიკურადაც გავარემონტეთ და მცირე დარბაზი მოვაწყეთ. მოგეხსენებათ, წლებია, სოფელს დარბაზის პრობლემა აქვს, ეს მინი საკონცერტო დარბაზი კი, ამ პრობლემას ნაწილობრივ მოხსნის, სოფელს აქ უამინდობის დროს შეუძლია კრება ან ღონისძიება ჩაატაროს. გულში ხინჯად მაქვს, რომ საბავშვო ბაღის ეზოში ბავშვებს პატარა ატრაქციონი არ აქვთ, დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს საქმეც გავაკეთოთ,"— აღნიშნა სოფლის დეპუტატამ.

სოფლის თავკაცი სოსო თევზაძე ამბობს, რომ სოფელში ბევრი რამ გაკეთდა, მხოლოდ მინი-სტადიონმა იმხელა როლი ითამაშა სოფლის გამოცოცხლებაში, რომ თითქმის ყველა ასაკის ადამიანის უსაქმურობის პრობლემა მოხსნა, ეს ადგილი ახალგაზრდების და არამარტო მათი თავშეყრის ადგილად იქცა. ,,-ალბათ, არც ერთ სოფელში ისე არ გაამართლა ამ პროექტმა, როგორც ოზაანში, სტადიონს აქვს ღამის გარე განათება და გვიან ღამემდე თამაშობენ, არამარტო ბიჭები, ამჯერად გოგოებიც ჩაერთვნენ სპორტულ ცხოვრებაში. ისე რომ, ის უკვე დასასვენებელი პარკის ფუნქციასაც ითავსებს. მშობლებს 3-4 წლის ბავშვებიც კი მოჰყავთ სასეირნოდ. ძალიან გამოცოცხლდა სოფელი."— აცხადებს სოსო თევზაძე, რომელსაც ჩვენი სტუმრობის დღეს საკრებულოს შენობაში შაბათობა ჰქონდა დანიშნული. გაასუფთავეს ეზო და ტრაქტორით მოხნეს საყვავილე ადგილები.

სოფელს პრობლემებიც აქვს, ოზაანელები საკუთარ მონტიორს მოიითხოვენ,—,, ხშირად გამოუვალი სიტუაციაა, ელექტროენერგია რომ გაითიშოს, ბევრს იმის საშუალება არა აქვს, რომ რაიონამდე გავიდეს და სიბნელეშია, არადა სოფელში კადრი გვყავს." —აცხადებენ საკრებულოში.

—,,ერთი თვეა, რაც ნაგვის გატანა დაიწყეს და ხალხი კმაყოფილებას გამოთქვამს. შეიცვალა წყალმომარაგების სისტემა და წყლის მიწოდება გაუმჯობესდა. ოზაანი წყლის საკმაოდ დიდ რესურსს ფლობს, დილიდან შუადღემდე წყალი ყველა ოჯახს მიეწოდება, მაგრამ თუ მრიცხველები დამონტაჟდა, თავისუფლად შეგვიძლია 24 საათიან რეჟიმში მივაწოდოთ მოსახლეობას წყალი. გედიქიდან რეზერვუარში დღე-ღამეში 1000 ტონამდე წყალი შედის, აქედან ჩვენი სოფელი 30%-ს მოიხმარს, დანარჩენი იღვრება, ამიტომ 24 საათიან წყალმომარაგებას თავისუფლად გავწვდებით."—ამბობს სოსო თევზაძე.

,,—გვაქვს სპორტული სექცია, რომლის ხელმძღვანელი ზურაბ მეხრიშვილია, მისი მონდომებით ერთ წელიწადში ბავშვები ისე დაეუფლნენ სპორტის სხვდასხვა სახეობებს, რომ გვაქვს წარმატებები, რაც ჩვენს სოფელს ნლება, არ ჰქონია. კალათბურთში რეგიონალური პირველობიდან ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ ბავშვები, არადა, ეს პირველი მცდელობა იყო. ახლა ფეხბურთში მეცადინეობენ და ჭადრაკშიც უნდათ ,რომ მოსინჯონ ძალები,"—ამბობს სოსო თევზაძე.

სოფელს აქვს 2012 წელს განსახორციელებელი პროექტები, რომელიც სოფლის დახმარების პროექტის ფარგლებში რაიონის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ხალხმა თავად ამოირჩია, რომ 1012 წელს პრიორიტეტი სოფლისთვის გედიქის წყალსაცავიდან ცენტრალურ ავზამდე სადაწნევო მილის შეცვლა, შიდა გზების მოხრეშვა-მოტკეპნა და სკოლის საჭირო ოთახის მშენებლობა იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ სოფელში ახალი მაცხოვრებლებიც გაჩნდნენ, -,,სოფელში ცხოვრების მცირეოდენმა გაუმჯობესებამ ხალხი სხვა რაიონებიდანაც მოიზიდა. თბილისელმა და ლაგოდეხელმა ოჯახებმა ოზაანში სახლი შეიძინეს და აქ ცხოვრება დაიწყეს,"—დასძენს თევზაძე.

თავწყარო

სოფელ ოზაანის თემში შედის სოფელი თავწყარო, სადაც 40 -მდე მოსახლე ცხოვრობს. თავწყაროელების ყველაზე დიდი პრობლემა ათწლეულების მანძილზე უწყლოობა იყო. ამჯერად მათ ეს საკითხი მოგვარებული აქვთ, წყაროს წყლიდან სოფლამდე ჩაიფინა სადაწნეო მილი, გაკეთდა ავზი, ჩაიფინა სოფელში შიდა ქსელი და, უკვე ორი თვეა, ხალხს წყალი უბნებში მისდით, მათ უკვე შეუძლიათ, წყალი სახლებშიც შეიყვანონ. წელს თავწყაროელებს ექნებათ გარეგანათებაც, რისთვისაც რაიონის ბიუჯეტიდან თანხა უკვე გამოიყო.

რას ფიქრობს ხალხი

სოფლის შუაგულში სკამზე ჩამომსხდარ ოზაანელი მამაკაცები საუბრობენ, გაზეთ ,,შირაქთან" იგივე გაამხილეს, რასაც უბნობდნენ. —,,მოსავალი აღარ დაგვითესია, რადგან წინა წლებში გვაზარალა, გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ხორბალი და მზესუმზირა არც კარგ მოსავალს იძლევა და არც ფასი აქვს ისეთი, რომ დანახარჯი აანაზღაუროს. ახლა მინას მსხვილი ფერმერები ამუშავებენ, თბილისიდან ჩამოსულები, ჩვენი ხალხი კი მათთან მუშაობს. სოფელში უკვე გაჩნდნენ და ადვილად იშოვით 15 და 20 ლარიან თოხის მუშებს, რომლებიც მათთან მუშაობენ, ქალებიც არიან და კაცებიც. ვინ აღარ დადის, რომ ოჯახში ლუკმა-პური შეიტანოს. მიწის დამუშავებას დიდძალი ფული უნდა, რომ არაფერი დააკლო და გაგიმართლოს კიდეც, ჩვენ საწყალი ხალხი ვართ, სად გვაქვს ამდენი? ამიტომ მიწას შევეშვით და ვალებში გადავარდნას ცოტა ლუკმა ვარჩიეთ, დანარჩენს, რაც შეეხება, გაზი, შუქი, გარეგანათება და წყალი, გვაქვს, პენსიაც არ იგვიანებს, მეტი რაღა გვინდა?!"—ამბობენ ოზაანელები.

სოფლის შუაგულში, გზის ნაპირას, დიდი ურიკა დგას, მასზე ნამჯებში გახვეული ოთხი უზარმაზარი ქვევრია წამოგორებული, ესე, 200 ან 250 ლიტრა ღვინოს დაიტევენ. ერთ წამს ამ ულამაზესი სურათის დანახვამ ძარღვებში სისხლი გამაყინა და კიდევ ერთხელ შემახსენა, თუ ვინ ვართ ქართველები, რანი ვართ და რამდენად ძლიერ ფესვებზე დგას ჩვენი ერი. როგორც გაირკვა, ეს საგანძური ხირსაზე ავრორა თევზაძის დაშლილი მარნიდან შინ წამოღებული სიმდიდრეა. აქვე, სოფლის ცენტრში, მხოლოდ პატარა ბიჭი მე-10 კლასელი გაგა თევზაძე დგას, ვესაუბრები -- ,,ახალგაზრდების ერთადერთი და აუსრულებელი სურვილი, სკოლაში დახურული დარბაზის გაკეთებაა. ათმაგი სიცოცხლე შეგვძინა მინი საფეხბურთო მოედნის გაშენებამ სოფელში, მაგრამ, ზამთარში და უამინდობის დროს ვერსად ვთამაშობთ, ფიზაღზრდის გაკვეთილებს საკლასო ოთახში საუბარში ვატარებთ. ეს ჩვენთვის მძიმე სტრესია. თუ ამ სურვილს ხელმძღვანელობა აგვისრულებს, შესაძლოა, მე სკოლის მოსწავლე აღარ ვიყო, მაგრამ ამით საშვილიშვილო საქმეს გააკეთებენ."-ამბობს გაგა თევზაძე.

ორგანიზაციები

ოზაანში ოთხი ძირითადი ორგანიზაცია ფუნქციონირებს- საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა, სკოლა და სამედიცინო ცენტრი. საბავშვო ბაღს სოფლის პირობებში საუკეთესო შენობა აქვს, ეზოც კარგ მდგომარეობაშია. აქ, ორი ჯგუფი მუშაობს, შესაბამისია აღმზრდელთა რაოდენობაც. ბაღის დირექტორი ლია თევზაძე ჩვენთან საუბარში ამბობს, --,,გასულ წელს, ოთახებს კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა, წელსაც კვლავ განვაახლებთ ინტერიერს, კვებაც ბევრად გაუმჯობესებულია. ახლახან შემოგვივიდა ახალი სათამაშოები". ოზაანის საბავშვო ბაღის პრობლემა უმაცივრობაა და ზაფხულში საკვები პროდუქტის დაცულად შენახვა, მოკრძალებით ისიც აღნიშნეს, რომ არც ელექტროენერგია აქვთ და არც ბუნებრივი აირია შეყვანილი საბავშვო ბაღის შენობაში.--,,ხშირად თხევადი-გაზის ეკონომიის მიზნით ლობიოს და ბარდას სახლებში ვხარშავთ და ისე მოგვაქვს, ძალიან გვინდა ბუნებრივი აირი შემოვიყვანოთ."-აცხადებს ბაღის პერსონალი.

სკოლა

სკოლა ნახევრად რეაბილიტირებული დაგვხვდა. შენობას მთლიანად მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა აქვს, ჭერიც შეცვლილია. ,,შარშან 19 მოსწავლიდან 15-მა საატესტატო გამოცდა ჩააბარა, 9 აბიტურიენტიდან - 8 გახდა სტუდენტი, სკოლამ 6 საკონფერენციო თემა გააგზავნა საბინისტროში და ექვსივემ პირველი და მეორე ხარისხის სიგელები მიიღო, გამოცოცხლდა სპორტული ცხოვრება, ბავშვები წარმატებით ასპარეზობენ სპორტის სხვდასხვა სახეობაში. გასულ წელს სკოლას ქსეროქსის აპარატი შეუძინა ბესიკ თოფჩიშვილმა, ხოლო პრინტერი-რაიონის დეპუტატმა ავთანდილ ლეკაშვილმა. გვყავს სერთიფიცირებული პედაგოგი —ელიზა შიუკაშვილი, ამჟამად წარდგენილია სერთიფიცირებაზე მარიკა თევზაძე." -აცხადებს სკოლის დირექტორი მზია ლეკაშვილი, რომელიც 2008-09 წლებში პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახლდათ. სკოლას აქვს კარგი ტრადიცია, წელიწადში ერთხელ სკოლის სახელოვან და საზოგადოებაში წარმატებულ კურსდამთავრებულებს იწვევენ ოზაანში და საქველმოქმედო კონცერტს ატარებენ, ამ თანხებით სკოლა ხშირად სოფლის ეკლესიებს ეხმარება, გასულ წელს კი შემონირული 300 ლარით სკოლამ შეიძინა მუსიკალური საკრავი ,,იამახა", რომელიც სკოლის მოსწავლეებს ფორტეპიანოს მაგივრობას უწევს.

ამგულატორია

სოფლის 1050 მოსახლის სამსახურშია სოფლის სამედიცინო ცენტრი, სადაც ახლა უკვე ოჯახის ექიმის და ექთნის სტატუსით კვალიფიცირებული მედპერსონალი ექიმი მერი ბაცაცაშვილი და ექთანი ლია ფოცხვერაშვილი უზრუნველყოფენ ადგილობრივ მკვიდრთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

--,,ზამთრის პერიოდში ყოველთვის მაღალი მომართვიანობა გვაქვს, ძირითადად გამოძახებები გვაქვს ბინაზე, რადგან ავადმყოფები ასეთ შემთხვევაში სახლის პირობებში წოლით რეჟიმში იმყოფებიან. ხშირად გვყავს პაციენტები, რომლებსაც ნევროპათოლოგის ანდა რომელიმე ექიმის დანიშნულება აქვს და გადასხმას საჭიროებს, რისთვისაც სამუშაო საათებში ყოველთვის მზად ვართ და ერთმანეთთან შეთანხმებით და მონაცვლეობით ვეხმარებით. არიან მოხუცები, რომლებსაც ბინაზე მარტო ცხოვრობს და წამლის დანიშნულებაც არ იციან ზუსტად, ჩვენ სწორედ ამიტომ ვართ, რომ მათ სამსახური გავუწიოთ. საინტერესო და ძალიან დატვირთული მუშაობა გვაქვს, ისე, რომ ხან გვიან მივდივართ სახლებში, თუმცა, ხალხის მადლიერება გვატანინებს. მათ ჩვენი მობილურის ნომრები აქვთ ჩაწერილი და საჭიროების ჟამს გვირეკავენ. როცა ხალხს სჭირდები და გთხოვენ მისვლას, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მუშაობა გამართლებულია. ისინი მადლიერები არიან და ჩვენც ეს გვახარებს", – აცხადებენ ჩვენთან საუბარში სოფლის მედიკოსები.

მოსახლეობა მართლაც მადლიერია სოფლის ამბულატორიის მედპერსონალის ყურადღებით, განსაკუთრებულ პატივს სცემენ სოფელში ახლადმოსულ ექიმს მერი ბაცაცაშვილს, რომელიც პაციენტებისთვის ხშირად საკუთარ 4 წლის შვილს სტოვებს და ხალხის სამსახურისთვის მუდმივ მზადყოფნაშია.

ბიბლიოთეკა

სოფლის ბიბლიოთეკა, რომელიც ბაღის ერთ-ერთ ოთახშია შეხიზნული, ძალიან მწირი წიგნებისგან შესდგება, მაგრამ აქ ინახება ძველი და ზოგიერთი იმდენად იშვიათი წიგნი, რომლის ანალოგი, შესაძლოა რაიონშიც ვერ მოიძებნოს. ბიბლიოთეკის გამგე ქრისტინე კიკილაშვილი მუდმივად სოფლის სამსახურშია. ის კარგი ლიტერატორია და გამოირჩევა თბილი დამოკიდებულებით მკითხველისადმი. იგი ყოველთვის ეხმარება და ურჩევს სოფლის ბავშვებს, თუ რომელი წიგნის წაკითხვაა უპრიანი მათთვის.

P.S. ვტოვებ ოზაანს და თან ერთი საფიქრალი მომყვება, მოეწონება კი ხალხს ჩემი თვალით დანახული სოფელი? ქართველები სხვანაირი ხალხი ვართ, ყველაფერს სხვაგვარად ვუყურებთ, ყოველივეს ზედმეტად კრიტიკულად ვაფასებთ, მძიმე თვალით ვაკვირდებით... იქნებ მეც რამე შემეშალა და ისე ვერ ვთქვი, როგორც სოფელშია საქმე, იქნებ გამაკრიტიკო კიდეც, ჩემო სოფელო, მაგრამ ის კი უნდა იცოდე, რომ, ძალიან მიყვარხარ და მინდა, ლამაზს და პრობლემებისგან ნაკლებად დამძიმებულს გხედავდე.

ლალი მეხრიშვილი

ლევან ბაღაშვილი: სოფელ ფიროსმანში საბავშვო ბაღი შემოდგომაზე გაიხსნება

რამდენიმე თვეში დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფელ ფიროსმანში საბავშვო ბაღი დაიწყებს ფუნქციონირებას. ამის შესახებ განცხადება დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილმა საკრებულოს სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, ამ სოფელში ბავშვთა კონტინგენტი საკმაოდ დიდია, ამიტომ საბავშვო ბაღის აღდგენის საკითხი ადგილობრივი მოსახლეობის დიდი თხოვნა იყო.

როგორც მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მურად ოზაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აცხადებს, ფიროსმანში საბავშვო ბაღი 16 წელია აღარ ფუნქციონირებს.

„ამჟამად სოფელ ფიროსმანში უკვე 50-ზე მეტი ბავშვია, რომელთა მშობლიც საბავშვო ბაღში მიყვანის სურვილს ამჟამად გამოთქვამს. ეს საკმაო კონტინგენტია, სავარაუდოდ, გახსნისთანავე 2 ჯგუფის შექმნა მოგვიწევს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სოფელში შესაბამისი შენობა არ გვაქვს. ადგილზე შევარჩევთ შენობას, რომელსაც მუნიციპალიტეტი შეისყიდის, კეთილმოაწყობს და გასახსნელად მოვამზადებთ. რაც მთავარია, ადგილობრივების დიდი ხნის თხოვნა გავითვალისწინეთ და რამდენიმე თვეში საბავშვო ბაღს გავხსნით,“ — განუცხადა „შირაქს“ დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილმა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სოფელში საბავშვო ბაღის აღდგენის დაფინანსება მთლიანად სოფლის

„ამ სოფელში ბავშვთა დიდი კონტინგენტია და ორ ჯგუფად დაყოფა მოგვიწევს“

დახმარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხით მოხდება. თუ ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა, მუნიციპალიტეტის საკრებულო მზადყოფნას გამოსთქვამს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის დამატების საკითხზეც იმსჯელოს.

სოფელ ფიროსმანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ოთარ ხოზრევანიძე „შირაქთან“ საუბრისას აცხადებს, რომ სოფლის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივები პირველ რიგში საბავშვო ბაღის აღდგენას ითხოვენ, ამიტომ ეს პრობლემა 2012 წლის პრიორიტეტულ საკითხად დასახელდა.

ხოზრევანიძის განმარტებით, 2012 წლისთვის, სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხიდან სოფელ ფიროსმანს 17 000 ლარი ერგო. მისი თქმით, შენობა რომელსაც საბავშვო ბაღისთვის შეიძენენ სოფლის ცენტრში შეირჩევა. რწმუნებული ამბობს, რომ რამდენიმე ვარიანტი უკვე არსებობს, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ არის.

„შირაქის“ ინფორმაციით, საბავშვო ბაღი სკოლის შენობას გამოეყოფა და ცალკე შენობაში გადავა საზღვრისპირა სოფელ არხილოსკალოშიც.

საბავშვო ბაღის აღდგენას ითხოვენ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფელ საბათლოს მაცხოვრებლებიც. თუმცა, როგორც დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მურად ოზაშვილი ამბობს, ამ სოფელში ბავშვთა კონტინგენტი იმდენად მცირეა, ამ ეტაპზე ამ საკითხს პერსპექტივა არ უჩანს.

ილია მარტყოფლიშვილი

კონფერენცია კლიმატის ცვლილების საკითხებზე

11 აპრილს, თბილისში, სასტუმრო ამბასადორში, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ორგანიზებით, პროექტის —,,კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“(CCADM)—ფარგლებში, ჩატარდა კონფერენცია,რომელზეც წარმოდგენილი იყო 11 საკითხი, აქედან სამი დედოფლისწყაროს პრობლემატიკას შეეხებოდა:

პირველ საკითხზე —,,გლობალური დათბობის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების აგროკლიმატური ზონების სცენარები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მაგალითზე“—მიმოხილვა გააკეთა CCADM პროექტის ექსპერტმა გიორგი მელაძემ. პროგნოზირებისთვის განხილული იყო სხვადასხვა სცენარები 2021-2050 წლამდე. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მოდულაციის შემოწმება ბადეზე დატანილი მონაცემთა ბაზების მიხედვით, ევროპის ცენტრთან შედარების საფუძველზე მოხდა. დედოფლისწყაროს მაგალითზე შეინიშნება 3- დან 6 თვიანი გვალვების ოდენობის მატება. გამოითქვა ვარაუდი,რომ 30-50 წლის შემდეგ , მოსალოდნელია 2 გრადუსით ტემპერატურის მომატება. ეს კი ხელს შეუშლის სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას. ამიტომ საჭიროა, შემუშავდეს ისეთი საადაპტაციო გეგმა , რომელიც შეარბილებს

კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგებს , მაგ. სხვადასხვა საკითხებთან ერთად, 2020-2050 წლებისთვის განხილულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის კულტურების სავეგეტაციო პირობები, თანამედროვე ტექნოლოგიები და სხვა..

CENN-ის წარმომადგენელმა, CCADM პროექტის ექსპერტმა ჭიჭიკო ჯანელიძემ დედოფლისწყაროს და ხელვაჩაურის მაგალითზე გააკეთა კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო მუნიციპალური გეგმის პრეზენტაცია ;

კონფერენციის ბოლოს, მოხდა აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საპილოტე პროექტების წარდგენა. საერთო სარგებლობის საძოვრების მდგრადი მართვის მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საპილოტე პროექტის ძირითად მიმართულებებზე ისაუბრა CCADM ექსპერტმა იოსებ სარჯველაძემ, ხოლო დედოფლისწყაროში საძოვრებთან დაკავშირებული პრობლემები მიმოიხილა პროექტის კონსულტანტმა დედოფლისწყაროში, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, ანა ბენაშვილმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები, საქართველოს სოფლის მეურნეობის გარემოს დაცვის სამინისტროების , დეპარტამენტების და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები;

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა , სახელმწიფო ისტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება, თემატური დიალოგის განვითარება და მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების საკითხების გათვალისწინებასა და ინტეგრირებას სახელმწიფო პროგრამებსა და განვითარების გეგმებში.

ზაზა გოროზია დედოფლისწყაროში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა გოროზიამ 17 აპრილს დედოფლისწყაროში, ტარიბანას საგაზაფხულო საძოვრებზე ცხვრის წინასაექსპორტო მოსამზადებელი სამუშაოები დაათვალიერა და ისრაელში ქართული ცხვრის ექსპორტზე გაგზავნის პროცესს დაესწრო. ის დედოფლისწყაროს მოადგილესთან ერთად სტუმრობდა. დედოფლისწყაროში იმყოფებოდა, ასევე, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სააგენტოს უფროსი დავით კობერიძე.

მოგვიანებით, კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს საექსპორტო ცხვრის ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და წვრილფეხა პირუტყვი საგულდაგულოდ მოწმდება.

როგორც დედოფლისწყაროში ვიზიტისას გაირკვა, ამ ეტაპზე ისრელში 4000-მდე სული ცხვარი გაიგზავნა. საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარის ბექა გონაშვილის განმარტებით, მაისის ბოლომდე ეს რიცხვი 12 ათასამდე გაიზრდება.

მინისტრის, ზაზა გოროზიას თქმით, ქართულ ცხვარზე მოთხოვნა საერთაშორისო ბაზარზე იზრდება. მიმდინარე წელს 6 715 სული ცხვარი ისრაელში, აზერბაიჯანში, ყატარსა და კუვეიტში გაიგზავნა. წლის ბოლომდე სხვადასხვა ქვეყნებში, დაახლოებით, 200 ათასამდე სულის გაყვანა იგეგმება.

„ისრაელის ბაზრის ათვისება ქართული ცხვრის საექსპორტო პოტენციალის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია. 2011 წლის თებერვლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრო ისრაელის მხარესთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, რის შედეგადაც კომპანია „ედენ ინტერნეიშენალ თრეიდინგს“ ისრაელში ცოცხალი ცხვრის ექსპორტზე გაყვანის საშუალება მიეცა. გასული წლის შემოდგომაზე ისრაელში საცდელად 2200 სული ქართული ცხვარი გავიდა. მიმდინარე წლის მაისამდე ექსპორტი კიდევ იგეგმება. ისრაელში ქართულ ცხვარზე მოთხოვნა გაიზარდა, რაც ბუნებრივ საკვებზე გაზრდილი ცხვრის ხორცის მაღალმა ხარისხმა და განსხვავებულმა გემომ განაპირობა“, — განაცხადა გოროზიამ.

როგორც გაზეთ „შირაქმა“ გაარკვია, 2009 წლიდან დღემდე ისრაელში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ირანში, ლიბიაში, იორდანიაში, დუბაიში, ქუვეითში, ყატარში, სირიაში, ეგვიპტეში და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ექსპორტზე 574 900 სული ცხვარი გავიდა.

ილია მარტყოფლიშვილი



სიყვარული სიცოცხლის აზრი და ცხოვრების საფუძველია

ხვიჩა 1969 წელს დაიბადა სოფელ თავწყაროში სიმონ და ჟუჟუნა ქავთარაძეების ოჯახში, რომელიც გასული საუკუნის სამოციან წლებში კასპის რაიონის მაღალმთიანი სოფლიდან – ჩაჩუბეთიდან, გეგმიური ჩამოსახლებით ჩამოვიდა და დასახლდა თავწყაროში. სოფელი ადმინისტრაციულად ოზაანის საბჭოში შედიოდა, მაგრამ, ტერიტორიული სიახლოვის გამო, კავშირები გამარჯვებასა და დედოფლისწყაროში უფრო ჰქონდათ. (მთელი ცხოვრება მიკვირდა და დღესაც ვერ ამიხსნია, რატომ მაინც და მაინც ოზაანს მიაბეს ეს მინი–სოფელი კომუნისტებმა, სად ოზაანი და სად თავწყარო?!) სამი დედმამიშვილი იზრდებოდა ოჯახში უფროს-უმცროსობის წესრიგით, და-ძმის სიყვარულიც აქ გაღვივდა მის გულში. თავწყაროს ოთხწლიანი სკოლა რომ დაამთავრა, გამარჯვების საშუალო სკოლაში გადავიდა სასწავლებლად, სკოლის დამთავრების შემდეგ ჯაფარიძის №72-ე პროფსასწავლებელში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საფუძვლებს დაეუფლა და დღემდე ამ დარგს ემსახურება. 25 წლისამ სიყვარულით შექმნა ოჯახი თანასოფლელ მარინა აფციაურთან ერთად და საკუთარი ბუდე მოიწყო. დღეს ხვიჩა ოთხი ქალიშვილის მამაა: ელიზა და ჟუჟუნა დიდი ბებიის და ბებიის მოსახელეები არიან, მათ ქეთევანი და წლინახევრის ანა–მარია მოსდევენ. 16 წლის ელიზა ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეა, ჟუჟუნა და ქეთევანიც ამავე სკოლაში სწავლობენ და ყველა კარგ მოსწავლედ ითვლება.

–ცხოვრებამ ასე მოითხოვა, თავის დროზე უპერსპექტივოდ ჩასახლებული სოფელი თავწყარო, ფაქტიურად, დაიშალა. ახალგაზრდები იქ აღარ ცხოვრობენ, რადგან აღარც სკოლაა, აღარც ბიბლიოთეკა, აღარც საექიმო–ამბულატორია და.. ყველა წავიდ–წამოვიდა. სოფელში, ძირითადად, ხანდაზმულები ცხოვრობენ, თითო-ოროლა საქონელს მწყემსავენ, კოლმეურნეობიდან შენახვედრ 1,25 ჰექტარ პრივატიზებულ მიწებს ამუშავებენ და ყველანაირ საყოფაცხოვრებო პირობებს მოკლებულნი, ეჭიდებიან ცხოვრებას. ჩემი მეუღლე დაწყებითი სკოლის პედაგოგი იყო. უმუშევარი დარჩა, ბავშვებს განათლების მიღება სჭირდებოდათ და მეც დედოფლისწყაროში გადმოვბარგდი. თუმცა, მაინც ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი და ორი-სამი დღე ისე არ გავა, არ ჩავირბინო, მშობლებს არ დავხედო, ახლობლებს არ მოვეფერო — ამბობს ხვიჩა.

– ოთხი ქალიშვილის მამა სამომავლოდ რას აპირებ, ქართველი კაცის მენტალიტეტიდან გამომდინარე, აგრძელებ ბიჭის "ძიებას" თუ...?

– ფუძის მემკვიდრე ბიჭი ყველას უნდა და მათ შორის მეც, მაგრამ ის უფრო მინდა, ჩემს გოგონებს ჯანმრთელი დედა ჰყავდეთ. თუ ბუნება საშუალებას მოგვცემს და მეუღლის სურვილიც იქნება, მე შვილთა სიმრავლეს არ შევუშინდები, მიყვარს დიდი ოჯახი, მთავარია, ერთმანეთის და შრომის სიყვარული ასწავლო შვილებს, თორემ მერე ყველა თავის გზას მონახავს, ერთმანეთს შეეხიდებიან და ფეხზე დადგებიან. აუცილებელი არ არის, მშობლებმა ყველა შვილს ბინა და მანქანა უყიდონ, ცხოვრება მოუწყონ. უპირველესად მათ ცხოვრების სწორი გეზი უნდა მისცე!

– რას საქმიანობ, რით არჩენ ოჯახს?

– მინი-სატრაქტორო ბრიგადა მაქვს: სახნავი ტრაქტორგუთანი, "ბელარუსი" თავისი მისაბმელებით – ფარცხით, სათესით. ორი-სამი ადამიანი მყავს დასაქმებული. ჩემი ტექნიკა, ძირითადად, საბჭოთა დროის რუსული წარმოებისაა. უკვე ამორტიზებულია და ბევრი სათადარიგო ნაწილის ყიდვა მიწევს რემონტისას. ახალი ნაწილები ძალიან უხარისხოა, ქარხნები აღარ მუშაობენ, პატარ–პატარა კოოპერტივების მიერ გამოშვებული ნაწილები კი, უნდა ითქვას, რომ ერთჯერადია. ზოგი ნაწილის შოვნა ძალიან გაძნელებულია, ე.წ. "დაშლილებშიც" კი აღარ არის. ბოლო წლებში ჭარბად შემოსული ჩინური ნაწილებიც ძალიან უხარისხოა. ასე რომ, ბევრი წვალება გვიწევს. ამიტომ, მომგებიანია და კარგი ცხოვრების საშუალებას იძლევა–მეთქი, ვერ ვიტყვი, რეალურად საარსებო წყაროა.

– ტექნიკა, ასე თუ ისე, შენი გაქვს, მიწაც თუ გაქვს, არა გიშავს?

– არა, მიწა არ მაქვს, სულ ვქირაობ. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ საწვავის ფასი ძალიან მაღალია, ქირას ვუხდი მიწის მეპატრონეს, სახელმწიფო მიწის გადასახადიც გაორმაგდა და ცოტა მეტიც. ასე რომ, პროდუქციის თვითღირებულება მაღალია, რეალიზაციის ფასი —დაბალი. ეს გლობალური დათბობის და გაუდაბნოების პროცესებიც უარყოფითად მოქმედებს, ხან გვალვაა, ხან ქარებია, ხან რა და ხან რა. ჩვენმა დაუდევრობამ და წინდაუხედავობამ ის ტოტი მოგვაჭრევინა, რომელზეც ვიჯექით. ჩვენივე ხალხის წყალობით გაიჩეხა ქარსაფარები, იმოდენა წვრიფეხა და მსხვილფეხა საქონელი დადის შირაქსა და სხვა მინდვრებში,სადაც საძოვარი საერთოდ არ არის, რომ მათ რა ჯეჯილი და ქარსაფარი გაუძლებთ! ნეტავი ვინმე მოჰკიდებდეს ხელს ამ საქმეს და ამ საქონელს გააყვანინებდეს, სამართალსაც აღასრულებდა და ხალხის მადლსაც მოისხავდა. მაღალი მოსავლის მისაღებად სათესლე მასალის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ კი, იმის გამო, რომ კარგი ხარისხის თესლი ძვირია და ხელი არ მიგვიწვდება, უმრავლესობა იმას ვთესავთ, რაც გვაქვს. კარგი იქნებოდა, მთავრობა ამ კუთხით უფრო მეტად ზრუნავდეს მიწათმოქმედებზე. მაგალითად, გასულ წელსაც იყო ხორბლის და სიმინდის თესლი შემოტანილი, მაგრამ, ჯერ ერთი ძვირი იყო, ახლა ბანკებთან და დაზღვევასთან ურთიერთობა არც ისე საიოლო და მარტივი საქმეა, რისკია. მე, თითქმის ყოველწლიურად, მიხდება ბანკიდან სესხის აღება, წლიურად 26 პროცენტზე ნაკლები არ მიწევს. არადა, სამწუხაროდ, უფრო შეღავათიანი სესხი მიწადმოქმედებისათვის ჩვენს რაიონში რეალურად არ არის. ისე კი, სასურველია, ამ კუთხით სერიოზულ შეღავათებზე იზრუნოს მთავრობამ, თორემ დიდი ნაწილი ჩვენი რაიონის მიწებისა მიტოვებული და დაუმუშავებელია, რადგან ხალხს ძალიან უჭირს, ვერ სწვდება ხარჯებს, ვერც ამუშავებს, ვერც აქირავებს და რთულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

– მიმდინარე წელს მთავრობამ სოფლის მეურნეობა პრიოტეტულ დარგად გამოაცხადა.შემოდის და კვავაც იგეგმება თანამედროვე ტექნიკის შემოტანა და მექანიზაციის ცენტრების შექმნა. გასულ წლებშიც არაერთხელ დარიგდა ტრაქტორები, მისაბმელები, კომბაინები. ჩვენს რაიონშიც არის ტექნიკის რამდენიმე ცენტრი. როგორ უძლებთ კონკურენციას და რას აკეთებთ იმისათვის, რომ მომხმარებელი არ დაკარგოთ?

–მე, პირადად, მივესალმები ამ პროცესს, რაც მეტი ხარისხიანი და თანამედროვე ტექნიკა შემოვა, მით უკეთესი, მეტი ფართობი დამუშავდება, ხალხმა იქნებ ამოისუნთქოს. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნო, რომ ხარისხიანი მომსახურება ცოტა ძვირი სიამოვნებაა, მათი საჰექტარო გადასახადის ტარიფი ჩვენთან შედარებით საკმაოდ მაღალია. ჩვენ შედარებით დაბალი ფასებით ვმუშაობთ, გაჭირვებული ხალხი კი, ოღონდ იაფი დაუჯდეს და ამ ახალ ტექნოლოგიებზე უარს ამბობს და ჩვეულ, მამა–პაპისეულ ხვნა–თესვას ირჩევს. ამიტომ, ჩვენ მომხმარებელი არ გვაკლია.

ხვიჩა ქავთარაძის სატრაქტორო მინი-ბრიგადას მომხმარებელი რომ არ აკლია, ამას მარტო ფასები არ განაპირობებს. ხვიჩა და მისი ბიჭები ერთ მუშტად შეკრული გუნდია – პირიანები, უღალატონი, პასუხისმგებლობის გრძნობით სავსენი. თავად ბიჭებიც ხვიჩასთან ურთიერთიბით კმაყოფილნი არიან.

გიორგი ბაინდურაშვილი ასე ახასიათებს თავის "უფროსს":– ხვიჩა ძალიან კარგი ადამიანია. 14 წლისა მოვედი და ათი წელია, მასთან ვარ. ის ისე ზრუნავს ჩვენზე, როგორც უმცროს ძმებზე, ჭკუას გვარიგებს, თბილად გვექცევა, თუმცა, უდისციპლინობას და საქმის ღალატს არასოდეს გვპატიობს, ვიცით ეს და ჩვენც ერთგულად ვშრომობთ. ის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს, როგორც წესიერი, მშობლების, ცოლ-შვილის მოყვარული ადამიანი.

უფლის დიდ დღესასწაულს – აღდგომას და სიყვარულის დღეს ვულოცავთ ხვიჩას, სიყვარულით სავსე მის ლამაზ ოჯახს და მის "კოლექტივს". უფლის წყალობა და ხალხის სიყვარული არ მოჰკლებოდეთ.

ნაირა გორაშვილი

> – თუ გიყვარს შენი ოჯახი – მშობლები, და–ძმები და შვილები, თუ გიყვარს მეუღლე, გვერდში მდგომი თანამშრომლები და საქმე, რომელსაც ემსახურები, თუ გიყვარს შენი ერი და ქვეყანა, მისი წარსული და აწმყო, მისი მიწა და ცა, ზოგადად, თუ ღმერთს შენთვის სიყვარულის უნარი მოუცია, უნდა ჩათვალო, რომ ბედნიერი ხარ, შენს სიცოცხლეს აზრი აქვს და შენს ცხოვრებას მტკიცე საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც წარმოიშობა ოცნებები და ისახება მათი მიღწევის გზები – ასე ფიქრობს დღევანდელი ჩვენი რესპოდენტი, ერთი წესიერი ახალგაზრდა კაცი ხვიჩა ქავთარაძე. არა, მარტო კი არ ფიქრობს, ამ რწმენით ა განაწესით ცხოვრობს. ამიტომაც, მის ნაცნობთაგან ვისაც გინდა ჰკითხო, ყველა გეტყვის, რომ ხვიჩა ძალიან კარგი, წესიერი, მშრომელი, თანამგრძნობი, სამართლიანი და ჰუმანური ადამიანია. ეს კი კაცისათვის დიდი სტიმულია.

სიყვარული ბავშვობის სიზმრებიდან მოგვდევს

სიყვარული პოეზიის პირველმიზეზია. კაცობრიობას ის ბავშვობის სიზმრებიდან მოსდევს. ვიდრე ერის გული, მისი პირველგამომხატველის — ეროვნული პოეზიის სახით, სიყვარულის უნარს ინარჩუნებს, მისი დაბერება არ იქნება.

საქართველოს პოეტებმა ჩვენს დღეებამდე მოიტანეს ერთი სიხარულის შეგნება:

ადამიანი ცოცხალია მანამდე, სანამ ის ბედნიერებას ეძებს, ვიდრე მის გულში კიდევ ღვივის აღთქმული ქვეყნის ხილვის იმედი. ხოლო ერთადერთი ხიდი, რომელიც ჩვენ ამ სიყმაწვილის წლებში მოლანდებულ და ამ უტყუარი მოწმობით ეჭვმიუტანლად დადასტურებულ რეალობასთან გვაახლოებს, პოეზიის მიერ უსასრულობაში გადატყორცნილი ხიდია. მხოლოდ ნამდვილი სიყვარულის, მხოლოდ დიდი ტკივილის ხარჯით შეიძლება ბედნიერების ნაპირებთან მიახლოვება.

***

ყველაფერი ძველდება მზისქვეშეთში, ცივდება, იფიტება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს.

ათასი ბაბილონის გოდოლი ჩამოაქცია ჟამთა სიავემ, ათასი გოროზი გულის ძახილი შეერია დიდ უდაბნოთა დაუსაბამო მდუმარებას, უდაბურდებიან სემირამიდის ბაღებიც...

ვინ იცის, რამდენ ამპარტავან სულის ზვაობას მოეღო ბოლო, რამდენი ამაო ზრახვა ჩაჰყვათ სამუდამო ძილში ბედისა და სახელის თავზეხელაუღებელ მაძიებლებს?

ინავლება სიყვარულიც...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბროწეულის ლორთქო ფესვები კადნიერად გაჰკვეთენ ქვიან ბალავარს და სარკოფაგის ათასწლოვან სიგრილიდან კვლავ ამოგიზგიზდება „ვით ბაზმა გაუქრობელი", — ჩვილი, უმწეო, სამარადისო ხმა:

„ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!"

გურამ ასათიანი

სასჯელი ერთჯერადი შრომისთვის

(ბევრმა არ იცის, დეკლარაციაში აგენტს რა უნდა ჩააწერინოს)

(პირველი გვერდიდან)

რომ მის ერთადერთ სიმდიდრეს 5 ქათამი წარმოადგენს.

ამ ყველა სიკეთესთან ერთად გაჭირვებული ქალბატონი ბრონქიალური ასთმითაცაა დაავადებული. როგორც თვითონ ამბობს, მას არც ავადმყოფობის პენსია აქვს და არც სხვა რაიმე სახის დახმარება. სოციალური სუბსიდირების სააგენტოს თანამშრომლებზე გაბრაზებული არ არის, მაგრამ წყენანარევი ხმით ამბობს, რომ აგენტმა მას დეკლარაციაში შემოსავლის სახით 20 ლარი დაუწერა, როცა მას არანაირი ყოველთვიური შემოსავალი არ გააჩნია. მას ხომ ჯერ საპენსიო ასაკიც არ შესრულებია.

ლამარა მაღალაშვილს დეკლარაციაში შემოსავლის სახით 20 ლარის მითითების საკუთარი ვერსია გააჩნია. ის ამბობს, რომ მეზობელს სიმინდის გარჩევაში მიეხმარა, მან კი გასამრჯელოს სახით ერთი ტომარა ხორბალი მისცა. სწორედ ეს ფაქტი გახდა სოციალური აგენტისთვის დეკლარაციაში თანხის მითითების საფუძველი. როგორც მაღალაშვილი აცხადებს, სამწუხაროდ, მისი დასაქმების ასეთი შემთხვევები ბედნიერი გამონაკლისია და ძალიან იშვიათად ხდება.

სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, გაზეთი „შირაქი“ სოფელ ზემო ქედის რწმუნებულს ვლადიმერ პაპიაშვილს დაუკავშირდა:”ამ ქალბატონის მდგომარეობას კარგად ვიცნობ, ნამდვილად გაჭირვებულია, მაგრამ მოგეხსენებათ, სოფლის საკრებულოს საკუთარი ბიუჯეტი არ გააჩნია და ვერაფრით ვეხმარებით. ვიცი, სოციალური დახმარებაც შეუწყდა. შევთავაზე, რომ რეკომენდაციას მივცემდი და მას აუცილებლად დავუწერ.“- განაცხადა ჩვენთან საუბარში ზემო ქედის რწმუნებულმა.

ლამარა მაღალაშვილს დეკლარაციაში შემოსავლის სახით 20 ლარის მითითების საკუთარი ვერსია გააჩნია. ის ამბობს, რომ მეზობელს სიმინდის გარჩევაში მიეხმარა, მან კი გასამრჯელოს სახით ერთი ტომარა ხორბალი მისცა. სწორედ ეს ფაქტი გახდა სოციალური აგენტისთვის დეკლარაციაში თანხის მითითების საფუძველი.

გაზეთი „შირაქი“ სოციალური სუბსიდირების სააგენტოსაც ეწვია, სადაც გაარკვია, რომ ლამარა მაღალაშვილს სოციალური დახმარება 2008 წლის აგვისტოდან შეუჩერდა იმ მიზეზით, რომ ეს ქალბატონი მუდმივად არ ცხოვრობდა ფიქსირებულ მისამართზე. 2011 წლის დეკემბერში კი ხელახალი შემოწმების შედეგად მისმა სარეიტინგო ქულამ 81 000 შეადგინა. როგორც სოციალური სუბსიდირების სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალში განგვიმარტეს, ამ ქალბატონმა სააგენტოში უნდა წარმოადგინოს სამედიცინო ცნობა „ფორმა 100“, სადაც მითითებული იქნება, რომ ლამარა მაღალაშვილს აქვს სიცოცხლისათვის საშიში დაავადება, კერძოდ კი ბრონქიალური ასთმა. ამ შემთხვევაში მას სოციალური აგენტები ხელახლა შეამოწმებენ და იმედია, მის დეკლარაციაში ობიექტური სურათი აისახება. ***ცნობისათვის, სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემაში ცვლილებები შედის. ამიერიდან, მათი მატერიალური მდგომარეობის შეფასებისას აღარ იქნება გათვალისწინებული სახლში გარკვეული საყოფაცხოვრებო ტექნიკის არსებობა, რაც ხშირად იმის მიზეზი ხდებოდა, რომ უსახსრო ოჯახები ვერ ხვდებოდნენ სოციალურად დაუცველთა სიაში და შესაბამისად, სახელმწიფო დახმარებასაც ვერ იღებდნენ. ინიციატივა ჯანდაცვის მინისტრს ეკუთვნის.***

ინგა შიოლაშვილი

არ მინდა, უიმედობამ დამზაფროს!

რამდენიმე დღის წინ მოსულმა წვიმამ, როგორც იტყვიან, სულზე მოუსწრო ქარებისა და გვალვისაგან გამომხმარ–გამოფიტულ ყანებსა და ვენახებს. ვენახებს ვამბობთ, თორემ სადღაა ვენახები?!

ანაოხრდა, გაიკაფა და გაველურდა ტარიბანის, დილიჩის თუ ენამთის თვალუწვდენელი ზვრები –კაპიკების ფასად ჯართში ჩაბარდა მავთული თუ საყრდენი ბოძები. ვის დავემდუროთ, ეს ხომ ჩვენ ვქენით, ჩვენ, რომლებსაც დღევანდელი კვერცხი გვირჩევნია ხვალინდელ ქათამს. მაშინდელმა ქაოსურმა მდგომარეობამაც ხელი შეგვიწყო და დავანგრიეთ, მოვსპეთ და ნაკუწ–ნაკუწ გავინაწილეთ ყველაფერი, რასაც ჩვენი, ჩვენი მშობლების და პაპა–ბებიების ჯანი და ცხოვრება შეელია. შეიძლება, კონკრეტულად მე და თქვენ არ მივიღეთ ამ ნგრევაში მონაწილეობა, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ჩვენს თვალწინ ხდებოდა, ჩვენ კი გულგრილად შევყურებდით, ანდა, თითო-ოროლა თუ ვიღებდით ხმას, რომელიც რჩებოდა “ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა”, რადგან ჭეშმარიტება, რომ “ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს”.ახლა ვხედავთ ნარ–ეკლით დაფარულ ველმინდვრებს და შამბნარგადავლილ ვენახებს და გული გვტკივა. ამ დღეებში ენამთაში ვიყავ, გაღმა–გამოღმა აქა-იქ ოცი–ოცდათი ვენახი თუ მოიძებნება, კაცის მზრუნველი ხელი რომ ატყვია, ისიც ძაღ და ძაღ ნაკეთები, რადგან აღარაც ტექნიკაა ვენახის დასამუშავებლად და საწვავიც ისეა გაძვირებული, ხალხი ვეღარ ახერხებს ვენახამდე მისვლას. სამაგიეროდ, ცხვარ-ძროხაა მომრავლებული და ყოველ საღამოს ბაიათების ღიღინით მიერეკებიან თავიანთ საქონელს უცხო ენაზე მოლაპარაკე, კმაყოფილი გამომეტყველების ადამიანები ფერმებისაკენ. ოფიციალურად საძოვარი ნაკლები აქვთ, მაგრამ ცხვარ-ძროხას უჭმელ-უსმელობის არაფერი ეტყობა, რადგან ისინი, არა მხოლოდ ნავენეხარში, თავად ვენახებშიც თავისუფლად დადიან და სერიოზულ ზიანსაც აყენებენ მას. მათი თავის მართლება “მე არა, კასო!” “ფიცი მწამს, ბოლო–მაკვირვებს” ჰგავს, რადგან საქონელმა არ იცის, ვენახში რომ არ უნდა მოისაქმოს და ფუნით სავსე ვენახები და თავწაკორტნილი ვაზები თავად ამბობენ სათქმელს. ეს გაზაფხულსა და ზაფხულში, შემოდგომაზე კი, ყურძენი თვალში შევა თუ არა, თუ დარაჯი არ იქირავე, მთელი წლის ნაჯაფარ ვენახებში შეიძლება კიწიც ვერ მოწყვიტო. ყურძენს ხომ კრეფენ და კრეფენ, თუ ყაბი არ ეყოთ, მერე დაწურავენ და წვენს წაიღებენ ჩენჩოს კი, გულის გასახეთქად იქვე დაყრიან. ეს ყველაფერი თითქოს იმ “ვიღაცეებს” ბრალდებათ, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, “მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდო”.

გულწრფელად ვიტყვი, არც ჩვენ ვაკლებთ ერთმანეთს “სიურპრიზებს”. იმ დღეს, შებინდებულზე, ვენახში ვმუშაობდით დაღლილ–დაქანცულები სახლში რომ ვბრუნდებიდით, ვნახეთ, როგორ ემუქრებოდა განადგურებით ცეცხლი, (ასეთი შემთხვევა უკვე არაერთი იყო ენამთაში) გასხლულ–შეყელილ ვენახებს. თოხებით და ბარებით “შეიარაღებულები” ნახევარ საათზე მეტ ხანს ვებრძოდით ორი-სამი კაცი და ძლივს ჩავაქრეთ. ცეცხლი კი იცით როგორ გაჩნდა? ერთმა უპასუხისმგებლო და წინდაუხედავმა ადამიანმა თავისი ვენახიდან გამოზიდულ წალამსა და ხმელი ბალახის ნარჩენს ცეცხლი წაუკიდა და თავი დაანება, არც შემოუბარა, არც რაიმე ღონე იხმარა, რომ ცეცხლი არ გავრცელებულიყო. გაძლიერებული ცეცხლი ხმელ ბალახს გაეკიდა და გასხლულ და შეყელილ, მაგრამ ჯერ მოუხნავ, ხმელი ბალახით სავსე ვენახს მიადგა. ჩვენ, ჩვენს შრომას და ცეცხლში დაღვრილ ოფლს კი არა ვჩივით, არამედ იმას, რომ ერთმანეთის შრომას არ ვაფასებთ, არ ვუფრთხილდებოდით, მარტო ჩვენს გასწვრივ ვიყურებით.

ერთი სიტყვით, როცა კი ენამთისკენ მიმავალ გაუბედურებულ, დახევებულ და მართლაც სახიფათო გზას დავადგებით ხოლმე, როცა გადავხედავ გაჩანაგებულ ვენახებს, ანგრეულ-დანგრეულ სარწყავ სისტემას თავში ათასი კითხვა და ოცნება მიტრიალებს. თვალით დავეძებ, ნეტავი სადმე თუ დგას “იმედის” ხე, ნეტავი ოდესმე ისევ თუ იმძლავრებს ვაზი ამ ტერიტორიაზე და... მაინც არ მინდა, უიმედობამ დამზაფროს!

ნაირა გორაშვილი

ათონის მთაზე დაწყებული დიდი სასწაული...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თბილისში, მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა იწყება.

სასწაულმოქმედი ხატის დედანი ათონის მთის ქართულ მონასტერში — ივერონშია დაბრძანებული. ხატი წმინდა მთის მფარველად ითვლება.

საეკლესიო წყაროების თანახმად, როდესაც უფლის დავალების შესაბამისად, წმინდა მოციქულები იერუსალიმში შეიკრიბნენ და განიზრახეს, წილი ეყარათ, ვის რომელ ქვეყანაში ექადაგა, მარიამმა განაცხადა: „მეც მინდა, წილი თქვენთან ერთად ვიყარო. დაე, მეც მერგოს ქვეყანა, რომელსაც უფალი მიმითითებს“. ღვთისმშობელს წილად ხვდა ივერია, ანუ საქართველო.

როდესაც მან ივერთა ქვეყანაში წასვლა გადაწყვიტა, უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „აწ ნუ განეშორები იერუსალიმს, წილხვდომილი შენი ქვეყანა განათლდება მომავალში და შენი მეუფება განმტკიცდება იქ. მცირე ხნის შემდეგ, შენ ღმრთის სიტყვა უნდა ახარო იმ მიწას, სადაც მიგიყვანს უფალიო“. მაშინ ქალწულმა მარიამმა ანდრია მოციქულს უხმო და ივერიის საკურთხებლად თავისი ხელთუქმნელი ხატი გადასცა.

ქრისტეს შობიდან მეცხრე საუკუნეში, ხატთმებრძოლი იმპერატორის, თეოფილეს, მეფობის დროს კეთილმორწმუნე ქრისტიანებს აწამებდნენ, ხოლო პატიოსან ხატებს ანადგურებდნენ და წვავდნენ. იმ დროს მცირე აზიის ქალაქ ნიკეასთან, ერთი კეთილმსახური ქვრივი, თავის ვაჟთან ერთად, ცხოვრობდა. მას ჰქონდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ხატი, რომლის წინაშეც ხშირად ლოცულობდა. ერთხელაც ქვრივის სახლში მეფის მზვერავები მივიდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა ღვთისმშობლის ხატს მახვილი ჰკრა. წამსვე ქალწულის ლოყიდან, როგორც ცოცხალი სხეულიდან, სისხლი წამოვიდა, შეშინებული ჯალათები მაშინვე გაიქცნენ. მათი წასვლისთანავე, ქვრივი ცრემლითა და ცადაპყრობილი ხელებით ევედრა ზეციურ დედოფალს და ბოლოს, დიდი მოკრძალებით, ხატი ზღვის ნაპირას მიაბრძანა. ქალმა სანატრელი სიწმინდე წყალში ჩაუშვა და იხილა სასწაული — ხატი ზეაღიმართა და, ტალღებთან ერთად, დასავლეთისკენ გაუჩინარდა. ამ დღის შემდეგ, ქვრივის ვაჟმა, დედის თხოვნით, ნიკეა დატოვა და ათონის მთაზე დამკვიდრდა. აქ ის ბერმონაზვნად ეკურთხა, სწორედ მისგან შეიტყვეს ათონელმა მამებმა წმინდა ხატის ზღვაში ჩაშვების ამბავი.

200 წლის შემდეგ, ათონზე ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე აღმართული ნათლის სვეტი იხილეს. ნათელი ზღვის ტალღებზე მდგომი ღვთისმშობლის ხატიდან მოდიოდა. მამები შეეცადნენ, ნავით ხატს მიახლოებოდნენ, მაგრამ სიწმინდე მათ მაშინვე განეშორა.

ათონის ყველა მოღვაწე ზღვასთან შეიკრიბა, ბერები ზეციურ დედოფალს პარაკლისებს უხდიდნენ, მონასტრებში არწყდებოდა ფსალმუნთა კითხვა. ღვთისმშობელი კი მხოლოდ წარმომავლობით ქართველ ბერს, გაბრიელს, გამოეცხადა, რომელიც იმხანად, ივერთა სავანის მიდამოებში, ძნელად მისავალ მთაზე, განმარტოებულ სენაკში ატარებდა განდეგილ ცხოვრებას.

ღირს გაბრიელს ზეციურმა დედოფალმა ჩააგონა: „აუწყე წინამძღვარს და ძმებს, რომ მნებავს, მივანიჭო მათ ჩემი ხატი შემწედ და მფარველად, ნიშნად ამისა შემოდი ზღვაში, რწმენით გაიარე მის ტალღებზე და მაშინ ყველა შეიტყობს თქვენი სავანისადმი ჩემს სიყვარულსა და წყალობას“.

წმინდა ბერმა ამ ხილვის შესახებ წინამძღვარს უამბო, მეორე დღეს, განთიადზე ღვთისმშობლისადმი მხურვალედ ილოცა და ფეხი ზღვის ტალღებზე შედგა, საკვირველად განვლო წყალი და ხელში აიღო ფასდაუდებელი საუნჯე, რომლის მადლი უხილავად იჭერდა მას წყლის ზედაპირზე. ბერებმა სიხარულით მიიღეს ხატი და იქვე აუგეს სამლოცველო. იმ ადგილას, სადაც წმინდა გაბრიელმა ხატი გამოასვენა, საკვირველთმოქმედმა წყარომ ამოხეთქა, რომელიც დღემდე მოედინება და ყოველგვარი ხორციელი და სულიერი სნეულებების მკურნალია.

გადმოცემის თანახმად, სანამ ღვთისმშობლის ხატი ივერთა სავანეში იმყოფება, ათონის მთა მთელ ქვეყნიერებას მოჰფენს მართლმადიდებლობის წმიდა ნათელს, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ეს ხატი ისეთივე იდუმალი გზით გაუჩინარდება, როგორითაც მობრძანდა და მაშინ ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ წმინდა მთა, რადგან, თქმულების მიხედვით, სწორედ ეს იქნება ქვეყნიერების აღსასრულისა და უფლის მეორედ მოსვლის ერთ-ერთი ნიშანი.

2005 წელს საქართველოში ათონის მთიდან 13 ღირსი მამა ჩამოვიდა და მათი მონაწილეობით ეკურთხა მახათას მთის სამონასტრო კომპლექსი, როგორც ათონური ტრადიციების გამგრძელებელი სასულიერო ცენტრი.

გამოსათხოვარი

ავთანდილ პოპიაშვილი

ავტოკატასტროფაში მოყოლილმა ბოლო რამდენიმე თვე მძიმე ავადმყოფობაში გაატარა. მისმა გასაჭირმა ფეხზე დააყენა მთელი მხატვართა კავშირი, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, მისი მშობლიური რაიონის — დედოფლისწყაროს საზოგადოება და სანათესაო. ყველამ იცოდა, რომ მის მკურნალობას გერმანიაში სოლიდური თანხა სჭირდებოდა. ჩვენმა გაზეთმა არაერთხელ გამოაქვეყნა ანგარიშის ნომერი თანხების მოსაზიდად, მაგრამ არაფერმა გამოიღო შედეგი. 68 წლის ასაკში გარდაიცვალა მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი. იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო მხატვართა კავშირში, რამდენიმე წელი მხატვართა კავშირის მდივნის თანამდებობაც ეკავა. იგი მრავალი პერსონალური გამოფენის ავტორია. ბოლო წლების განმავლობაში პედაგოგიური მოღვაწეობას სასულიერო სემინარია-აკადემიასთან არსებულ რესტავრაციის ფაკულტეტზე ეწეოდა. როგორც ადამიანი, უაღრესად გაწონასწორებული, პატიოსანი და ჰუმანური იყო. უუყვარდა თავისი მშობლიური დედოფლისწყარო და არ უშვებდა ხელიდან შანსს, დასწრებოდა ყოფილ „ფიროსმანობას“ მირზაანში.

ავთანდილ პოპიაშვილი ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათის, 19 აპრილს საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. უმრავალმა ხალხმა მოიყარა თავი და საბოლოო გზაზე გააცილა კაცი, რომლის ხსოვნა მუდამ დარჩება ყველა იმ ადამიანის გულში, ვინც მას და მის შემოქმედებას იცნობდა.

ჩვენც, ჩვენი რაიონის საზოგადოების სახელით, ვემშვიდობებით, ნათელში იყოს და დაიმკვიდროს მისმა სულმა, სადაც მართალნი განისავენებენ.

გაზეთ „შირაქის“
თანამშრომლები.

შვილები:ვალიკო, მზია; შვილიშვილები: ნუკა, დათო, მარინა; სიძე გოგი ჩაჩანიძე, რძალი ვერა ფილატოვა, ძმა გივი ლათიბაშვილი, და ვარდიკო, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლისშვილები, მულიშვილები, შვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან

თინა გონაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს. 21 აპრილს, ქ.დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქ.№110.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაცია და ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმ ის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებს ლამარა უზუნაშვილს ბიძაშვილის

ომარ უზუნაშვილის

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილები: მანანა და დავით შანშიაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ივერი შანშიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მაია კურტანიძეს ძმის

გიორგის

გარდაცვალების გამო.

თინეიჯერებმა კონკურსი გაიარეს

მსოფლიოს ორმოცდაათ ქვეყანაში ტარდება შესარჩევი კონკურსები პროექტისათვის „ მის მსოფლიო თინეიჯერი“. მათ შორის არის საქართველოც. მესამე წელია, საქართველოში ამ პროექტის დირექტორი გახლავთ ეკა მგალობლიშვილი. საქართველოსთან ერთად გასულ წელს ის ზონალური პროექტის ხელმძღვანელად აირჩიეს და საქართველოს აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი და თურქეთიც შემოუერთდა. საქართველოში შესარჩევი ტურები რეგიონების და მასში შემავალი მუნიციპალიტეტების ფარგლებში ტარდება. ანალოგიური კონკურსი გასულ წელსაც ჩატარდა. ამიტომ ქალბატონმა ეკამ ერთგვარი ანგარიში ჩააბარა და თქვა, რომ გასულ წელს გვატემალაში გამართულ “მის მსოფლიო თინეიჯერში“ მონაწილეობდა საქართველოში გამარჯვებული ლტოლვილი გოგონა ნინო გველესიანი, რომელიც თბილისში ცხოვრობს. მან შეძლო, მოხვედრილიყო პირველ ათეულში, რაც, თავისთავად ცუდი შედეგი არ არის, თუმცა, ნინოს ინგლისური ენა რომ სცოდნოდა, არ არის გამორიცხული, პირველ სამეულშიც გასულიყო. ამიტომ, მე ვუგზავნი მესიჯს კონკურსის ყველა მონაწილეს – ისწავლონ ინგლისური ენა, რომელიც წარმატების მისაღწევად აუცილებელი პირობაა. მან ექსკლუზიურად ისიც გაგვიმხილა, რომ „მის მსოფლიო თინეიჯერის“ ორგანიზატორებიდან მიიღო შეთავაზება, „მის მსოფლიო თინეიჯერი – 2013” ჩატარდეს საქართველოში.შესარჩევი ტური კახეთში 4 აპრილს დაიწყო. დღეში ორ რაიონს მოიცავდნენ. 6 აპრილს კონკურსი სიღნაღსა და დედოფლისწყაროში გაიმართა.

კულტურის სახლში გამართულ კონკურსში ოცდათორმეტმა დედოფლისწყაროელმა თინეიჯერმა მიიღო მონაწილეობა. ყველაზე უმცროსები 4 წლის მარიამ და ლადო შეითნიშვილები, ხოლო უფროსები 14 წლის მარიამ მენთეშაშვილი და თათია ოგანეზოვა იყვნენ. თუმცა, კონკურსი 19 წლამდე ახალგაზრდებს ითვალიწინებდა.

ჟიურიმ, რომლის თავჯდომარეც ეკა მგალობლიშვილი, ხოლო წევრები მომღერლები ნინი შერმადინი და ქეთი ორჯონიკიძე , დიზაინერი ნანა შველიძე და შორენა გიგინეიშვილი იყვნენ, კონკუსის მეორე ტურში 16 მონაწილე გადაიყვანა. მეორე ტური ქ. საგარეჯოში ჩატარდა, ხოლო ფინალი ქ.თბილისში გაიმართება. ფინალურ ტურს ცნობილი მოდელი კრისტი ყიფშიძე უთავმჯდომარეებს, რომელიც სამოდელო სააგენტო „კატრინის“ პედაგოგი გახლავთ. “მის მსოფლიო თინეიჯერი –2012” – 8 აგვისტოს მექსიკაში გაიმართება. მას ნინი შერმადინი და ქეთი ორჯონიკიძე გახსნიან და დახურავენ. ნინიმ და ქეთიმ დედოფლისწყაროს კონკურსიც გაალამაზეს, საინტერესო და ხალისიანი გახადეს, თავისი სიმღერებით მაყურებლის ოვაცია დაიმსახურეს, აამღერეს და აცეკვეს დარბაზი, შემდეგ კი დააკმაყოფილეს ახალგაზრდების თხოვნა და ავტოგრაფები უსახსოვრეს.

პროექტის დირექტორმა ეკა მგალობლიშვილმა მადლობა გადაუხადა კახეთის გუბერნატორს გიორგი ღვინიაშვილს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს ლევან ბაღაშვილს, გამგებელს ნიკოლოზ შანშიაშვილს, კულტურისა და სპორტის სამსხურის თანამშრომლებს და დირექტორს ივანე შანშიაშვილს გაწეული დახმარებისათვის. კონკურს ესწრებოდა გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსხურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილი.

ნაირა გორაშვილი

სპორტი

კავკასიის პირველობა ხელჩართულ ბრძოლაში

1 აპრილს ქალაქ თბილისში ჩატარდა კავკასიის პირველობა ხელჩართულ ბრძოლაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და დაღესტნის სპორტული კლუბები. ჩვენი რაიონიდან შეჯიბრში იასპარეზა ზემო მაჩხაანის ნაკრებმა,მწვრთნელის გენადი ნატროშვილის ხელმძღვანელობით, რომლის სპორტსმენები ხელჩართული ბრძოლიდან გამარჯვებებით დაბრუნდნენ. პირველი ადგილი მოიპოვა გიორგი ნატროშვილმა, რომელიც 42 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. პირველი ადგილი არავის დაუთმო 35 წონით კატეგორიაში სანდრო ნატროშვილმაც. მესამე ადგილი კი 28 კგ. წონით კატეგორიაში სოსო ნატროშვილმა მოიპოვა.

შეჯიბრის დასასრულს გაიმართა აბსოლუტური პირველობა, სადაც 49 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულთან უნდა ებრძოლა შემხვედრს, რომელთანაც ასპარეზობას ვერცერთი მოთამაშე ვერ ბედავდა, ბოლოს მას ზემო მაჩხაანელი გიორგი ნატროშვილი შეეჭიდა, რომელიც 42 კგ—ში ასპარეზობდა, გიორგიმ თავისზე 7 კილოგრამით მეტი წონის სპორტსმენს აჯობა და აბსოლუტური პირველობით დაამარცხა. ისე, რომ გიორგი შეჯიბრიდან ორი ოქროს მედლით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

ლალი მეხრიშვილი

ევროპის პირველობა სამბოში

რუმინეთის ქალაქ ბუქარესტში ჩატარდა ევროპის პირველობა ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებს შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო სოფელ არბოშიკის მკვიდრმა ლევან კირკიტაშილმა, მან ფინალამდე დაამარცხა: ლატვიის, რუმინეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის ძიუდოისტები. ფინალში მისი მეტოქე იყო რუსეთის წარმომადგენელი, მსაჯების გადაწყვეტილებით ჩემპიონი გახდა რუსეთის წარმომადგენელი, ხოლო 65 კგ—ში ვერცხლის მედალი მოიპოვა ლევან კირკიტაშვილმა. ის ემზადება მსოფლიოს პირველობისთვის, საიდანაც ოქროს მედლით დაბრუნებას გეგმავს. მისი მწვრთნელი გახლავთ საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი ვაჟა მოსულიშვილი.



ძიუდო

ქალაქ თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 1997—98 წლებში და 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის , 1997-98 წლებში დაბადებელთა შორის 42 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ვაჟა ბუბუნაური. 50 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი აიღო ბექა გაგაძემ. 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის 38 კგ-ში ჩემპიონი გახდა ნიკა კობაიძე, 34 კგ- ში კი მეორე ადგილზე გავიდა გიორგი თინაშვილი.

***

ქალაქ გურჯაანში ჩატარდა რესპუბლიკური პირველობა ძიუდოში ჭაბუკეთა შორის. ჩემპიონები გახდნენ 33კგ. წონით კატეგორიაში გიორგი თინაშვილი და 38 კგ. წონით კატეგორიაში ვაჟა ბუბუნაური. მეორე პრიზიორი გახდა 42 კგ წონით კატეგორიაში ლაშა ბექაური. მესამეზე ადგილზე გავიდა 38 კგ. წონით კატეგორიაში ნიკა კობაიძე. მწვრთნელი გახლავთ კახა წიკლაური.

თენგიზ გუმაშვილი
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

იყიდება

იყიდება ბინა ბელეტაჟზე დედოფლისწყაროში, 9 ძმის მესამე შესახვევი, № 7 (რესურსცენტრთან ახლოს), კეთილმოწყობილი, დიდი ეზოთი და სათავსოებით, ავტოფარეხით.

ტელეფონი: 568 83 97 68

ამინდი

დედოფლისწყარო

პარასკევი 20.04		შაბათი 21.04		კვირა 22.04		ორშაბათი 23.04		სამშაბათი 24.04		ოთხშაბათი 25.04		ხუთშაბათი 26.04	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
19°	9°	17°	11°	20°	13°	15°	12°	12°	11°	14°	11°	16°	13°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 8 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K